პირველი, რითაც დაიწყო გამოცხადება ალლაჰის შუამავლისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), იყვნენ ჭეშმარიტი სიზმრები

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომელმაც თქვა: პირველი, რითაც დაიწყო გამოცხადება ალლაჰის შუამავლისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), იყვნენ ჭეშმარიტი სიზმრები. ყოველ ჯერზე, როცა სიზმარს ხედავდა, ის აშკარა ხდებოდა ისე ნათლად, როგორც განთიადის შუქი. შემდეგ მას ჩაუსახა ალლაჰმა მარტოობის სიყვარული. ის განმარტოვდებოდა ჰირას გამოქვაბულში და იქ რამდენიმე ღამეს ატარებდა ალლაჰის მსახურებაში. შემდეგ ოჯახში ბრუნდებოდა, რომ მოეტანა საჭირო მარაგი, და კვლავ გამოქვაბულში ბრუნდებოდა. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ მასთან არ მოვიდა ჭეშმარიტება, როცა ის ჰირას მღვიმეში იმყოფებოდა. მას გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: "წაიკითხე!" ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «მე არ ვიცი კითხვა». მოციქულმა თქვა: «მაშინ მან ჩამკიდა და ძლიერად მომიჭირა, სანამ უკიდურესად არ დავიძაბე, შემდეგ გამიშვა და კვლავ მითხრა: ‘წაიკითხე!’ მე ვუპასუხე: ‘არ ვიცი კითხვა!’ მან ისევ ძლიერად მომიჭირა, სანამ ისევ უკიდურესად არ დავიძაბე, მერე გამიშვა და კვლავ მითხრა: ‘წაიკითხე!’ მე ვთქვი: ‘არ ვიცი კითხვა!’ მაშინ მესამედ ძლიერად მომიჭირა, შემდეგ გამიშვა და თქვა: «წაიკითხე შენი უფლის სახელით, რომელმაც შექმნა, შექმნა ადამიანი შედედილი სისხლისგან. წაიკითხე, და შენი უფალი — უდიდესი მფარველია». (ალ-‘ალაყ, 96:1–3) მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შიშისგან კანკალით დაბრუნდა სახლში. შევიდა ხადიჯა ბინთ ხუვაილიდთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და უთხრა: «დამაფარეთ! დამაფარეთ!» დააფარეს, სანამ შიში არ გადაუარა. შემდეგ მოუყვა ხადიჯას ყველაფერი და დაამატა: «მე ჩემს სიცოცხლეზე ვშიშობ». ხადიჯამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) უთხრა: "არა! ვფიცავ ალლაჰს, ალლაჰი არასოდეს შეგარცხვენს! შენ ინარჩუნებ ნათესაურ კავშირებს, ეხმარები სუსტებს, ამარაგებ ღარიბებს, პატივს სცემ სტუმრებს და ეხმარები გაჭირვებულებს". შემდეგ ხადიჯამ მიიყვანა ის ვარაყა იბნ ნაუფალთან — თავისი ბიძაშვილის შვილთან. ვარაყა იყო ის, ვინც ჯაჰილიის დროს ქრისტიანობაზე მოექცა. ის წერდა წიგნებს ებრაულად და წერდა ინჯილიდან იმას, რასაც ალლაჰი მოისურვებდა. ის უკვე მოხუცი და ბრმა იყო. ხადიჯამ უთხრა: "ბიძაჩემის შვილო, მოუსმინე შენს ძმის შვილს". ვარაყამ ჰკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "ძმისშვილო, რა იხილე?" მოციქულმა მოუყვა, რაც გადახდა. ვარაყამ თქვა: "ეს იგივე ანგელოზია, რომელსაც ალლაჰი მიუვლენდა მუსას. ოჰ, ნეტავ მე ახალგაზრდა ვიყო და ძალა მქონდეს! ნეტავ ვყოფილიყავი ცოცხალი იმ დღეს, როცა შენი ხალხი გაგაძევებს!" მოციქულმა თქვა: «ნუთუ მართლა გამაძევებენ?» ვარაყამ მიუგო: "დიახ. არ ყოფილა ადამიანი, რომელიც მოვიდა იმით, რითაც შენ მოხვედი, რომ ხალხს არ გაემტყუნებინა. თუ იმ დღეს მოვესწრები, აუცილებლად დაგეხმარები მთელი ძალით". მაგრამ მალევე ვარაყა გარდაიცვალა, და გამოცხადება დროებით შეწყდა.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მოგვითხრობს, რომ პირველი რითიც

დაეწყო ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოცხადება, ეს იყო მართალი სიზმარი, რომელსაც ის ძილში ხედავდა, ის რასაც სიზმარში ხედავდა შემდეგ სინამდვილეში ზუსტად მსგავსად ახდებოდა, როგორც დილის სინათლე. შემდეგ მას განმარტოება შეუყვარდა, ის ჰირას გამოქვაბულში განმარტოვდებოდა ხოლმე და ღვთისმსახურებას მიეცემოდა, ის იქ რამოდენიმე ღამესაც ატარებდა ხოლმე, სანამ ოჯახში დაბრუნდებოდა, ის ამისთვის საგზლით ემზადებოდა, შემდეგ ბრუნდებოდა მორწმუნეთა დედასთან ხადიჯასთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და მსგავსად რამოდენიმე ღამისთვის ემზადებოდა საგზლით, სანამ მას არ მოუვიდა გამოცხადება, როდესაც ჰირას გამოქვაბულში იმყოფებოდა. მასთან მოვიდა ანგელოზი ჯიბრილი (მშვიდობა მას) და უთხრა: წაიკითხე: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: მე კითხვა არ შემიძლია, შემდეგ თქვა: ამიყვანა, შემიპყრო და მომიჭირა ისე ძლიერ რამდენის გაძლებაც შემეძლო, შემდეგ გამათავისუფლა და მითხრა: წაიკითხე: მე ვუთხარი: მე კითხვა არ შემიძლია, მან ისევ ამიყვანა მეორედ და შემიპყრო ისე ძლიერ რამდენის გაძლებაც შემეძლო, შემდეგ გამიშვა და მითხრა: წაიკითხე, ვუთხარი: მე კითხვა არ შემიძლია, მან ისევ ამიყვანა მესამედ და შემიპყრო ისე ძლიერ რამდენის გაძლებაც შემეძლო, შემდეგ გამიშვა და მითხრა: {წაიკითხე შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა. გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან. წაიკითხე და შენი ღმერთი ყველაზე გულუხვია}, [ალ-ალაყ:1-3]. ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამ აიათებით დაბრუნდა, მას შისისგან გული უცახცახებდა, ის დაბრუნდა თავის მეუღლესთან მორწმუნეთა დედასთან ხუვაილიდის გოგო ხადიჯასთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და უთხრა: დამაფარე ტანსაცმელი, დამაფარე ტანსაცმელი, დამაფარე ტანსაცმელი, სანამ მისგან ეს შიში არ წავიდა, შემდეგ უამბო ხადიჯას თავისი თავგადასავლის შესახებ და უთხრა: ვციცავ, მეშინოდა მეგონა მოვკვდებოდი, ხადიჯამ მას უთხრა: არასოდეს, ვფიცავ ალლაჰს, შენ ალლაჰი არასოდეს შეგარცხვენს, შენ ინარჩუნებ ნათესაურ კავშირებს, ეხმარები სუსტებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ უმკლავდებიან თავიანთ საქმეებს, ამარაგებ ღარიბებსა და გაჭირვებულებს, აძლევ ხალხს იმას, რასაც ისინი ვერ პოულობენ ვერცერთ სხვასთან, პატივს სცემ სტუმრებს და ეხმარები უბედურებებში, რომლებიც სიმართლეს უკავშირდება. ხადიჯამ წაიყვანა ის და მიიყვანა თავის ბიძაშვილთან, ვარაყა ბინ ნავფალ ბინ ასად ბინ აბდულუზასთან, ის იყო ხადიჯას ბიძაშვილი, რომელიც უმეცრების პერიოდში გაქრისტიანდა, და ინჯილიდან ებრაულად წერდა იმას, რაც ღმერთს სურდა რომ დაეწერა, ის ხანდაზმული ადამიანი იყო, რომელსაც თვალთახედვა დაკარგული ჰქონდა. ხადიჯამ მას უთხრა: ო ბიძაშვილო, მოუსმინე შენს ძმისშვილს, ვარაყამ შუამავალს ჰკითხა: ო ჩემო ძმისშვილო რა დაინახე? ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას მოუყვა იმის შესახებ, რაც დაინახა. ვარაყამ მას უთხრა: ეს არის ანგელოზი ჯაბრაილი, რომელიც ალლაჰმა თავის მოციქულს მუსას (შვიდობა მას) გარდმოუვლინა, ნეტავ ვიქნებოდე ენერგიული ახალგაზრდა, ნეტავ ვიქნებოდე ცოცხალი, როცა შენი ხალხი გაგაძევებს. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: ნუთუ ისინი გამაძევებენ?! უთხრა: დიახ, არ მოსულა არავინ არასდროს იმის მსგავსით, რითიც შენ მოხვედი, რომ მას არ ჰყოლოდა მტერი და არ ებრძოლათ მის წინააღმდეგ. მე თუ მომესწრება ეგ დღე, აუცილებლად მტკიცედ დაგეხმარები შენ. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და ვარაყა გარდაიცვალა, ზეშთაგონება გარკვეული პერიოდით შეწყდა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66303